## ერთი ქულა ოთხი შესაძლებლიდან

**25 აგვისტოს, მცირე ხნის შესვენების შემდეგ, განახლდა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატი. შედგა XXI ტურის შეხვედრები.**

საქართველოს ორივე გუნდმა სტუმრად ჩაატარა კალენდარული მატჩები - თბილისის დინამოელებმა ერევანში ითამაშეს „არარატთან“ , ხოლო ქუთაისის ტორპედოელებმა -ბაქოში „ნეფთჩისთან“. ამ ორ მატჩში ჩვენმა გუნდებმა მხოლოდ ერთი ქულა აიღეს. დანაკარგი, როგორც ხედავთ, დიდია.

განსაკუთრებით გაგვაწბილა დინამოელთ მატჩმა. დინამოელები დამარცხდნენ, თანაც ისეთ სიტუაციაში, როცა გუნდს მთელი თავისი შესაძლებლობებით, მთელი თავგანწირვით და მაქსიმალური ენერგიით უნდა ებრძოლა, ვინაიდან საკმარისი იყო ერევნის „არარატთან“ გამარჯვების მოპოვება და იგი მნიშვნელოვნად უახლოვდებოდა წამყვან ჯგუფს. საამისოდ ღირდა მთელი ძალით ბრძოლა, მაგრამ თავგანწირვისა ჩვენს ფეხბურთელებს არაფერი ეტყობოდათ. ერევნელებსაც, არსებითად, დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, რომ თავიანთი მოკრძალებული აქტივისთვის ესოდენ საჭირო 2 ქულა მიემატებინათ.

თბილისელთა მოუნდომებლობა, უნიათობა და პასიურობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მატჩის პირველ ნახევარში. თამაშის მთელი სიმძიმე ამ პერიოდში „დინამოს“ მცველებს და მეკარეს დააწვათ. ჩვენს თვდამსხმელებს ჩელებაძეს და მესხს 45 წუთის განმავლობაში სრულიად არაფერი გაუკეთებიათ საიმისოდ, რომ თუნდაც იოტისოდენა საქმე გაეჩინათ „არარატის“ მცველებისთვის. ყველაზე წყნარი ადგილი „რაზდანის სტადიონის სათამაშო მონდორზე პირველ ტაიმში „ არარატის“ კარი იყო. მეკარე პოდშივალოვი უშფოთველად ადევნებდა თვალს თბილისელთა შემტევ თამაშებს. ეს უკანასკნელნი კი ასეთივე ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდნენ თავიანთ ნახევარმცველებსა და მცველებს, რომლებიც მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდნენ - მეტოქეთა იერიშების მოგერიებას. ვერც ჩელებაძე და ვერც მესხი წინა ხაზზე წამითაც ვერ აჩერებდნენ ბურთს. ამიტომ ამ უთანაბრო ტაიმის სურათი ძირითადად ასეთი იყო: „არარატი“ უტევდა, „დინამო“ იგერიებდა.

აღმავლობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა ერევნელ ფეხბურთელებში გაცილებით უფრო ნათლად იგრძნობოდა. რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ მასპინძლებმა პირველ წარმატებასაც მიაღწიეს: მე-12 წუთზე თბილისელთა კარის წინ უმეთვალყურეოდ დატოვებულმა პ. გალუსტიანმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ანგარიში გახსნა - 1:0.

ამ გოლის შემდეგ ერევნელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს. დინამოელები კიდევ უფრო ჩაიკეტნენ დაცვაში. ამ პასიურ ტაქტიკას ლოგიკური შედეგიც მოჰყვა - 25-ე წუთზე მცველი სარქისიანი ჩაერთო იერიშში და მეორე ბურთი გაიტანა გაბელიას კარში.

ანგარიში 2:0. საკმარისი გარანტია იყო საბოლოო წარმატების მისაღწევად. „არარატმაც“ იმთავითვე იზრუნა თავისი დაცვის ხაზების გასაძლიერებლად, თუმცა საამისო მაინცდამაინც არაფერი უჭირდა: „დინამოს“ თავდამსხმელები კვლავ უმოქმედოდ იდგნენ.

დაიწყო მეორე ტაიმი და დინამოელთ თამაშიც მკვეთრად შეიცვალა. კერძოდ, ამოქმედდნენ თავდამსხმელები, წინა პოზიციაზე გადაინაცვლეს ნახევარმცველებმაც. შეტევის წამომწყები და პირველი მხარდამჭერი ჩივაძე იყო.

საკითხავია, რას უცდიდნენ პირველ ტაიმში თბილისელთა თავდამსხმელები? ნუთუ სავალდებულო იყო ორი ბურთის მიღება საკუთარ კარში, რომ „არარატის“ საჯარიმო მოედანზეც გამოჩენილიყვნენ დინამოელი მოთამაშეები? თბილისელთა ამ აშკარად დაგვიანებული იერიშების დროს ჯერ რევიშვილმა მოახვედრა ძელს ბურთი, შემდეგ - ჩელებაძემ, ჩივაძემ. ახლა უკვე ერევნელები იცავდნენ თავს და თბილისელები უტევდნენ. მაგრამ საბოლოოდ პოდშივალოვის კარი გადარჩა ხიფათს. „არარატმა დამსახურებულად ჩაიწერა 2 ქულა.

ამგვარად, მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ერევანში წავაგეთ. პირდაპირ უნდა ვთქვათ: იმით კი არა ვართ კმაყოფილი, რომ თბილისის „დინამომ“ კარგად ითამაშა მეორე ტაიმში, არამედ სავსებით კანონზომიერად უკმაყოფილონი ვართ ჩვენი გუნდის უსუსური თამაშით პირველ ტაიმში, როცა მან ორი ბურთი გაუშვა.

მეტოქეთა შემადგენლობანი:

**„არარატი“ - პოდშივალოვი, კირაკოსიანი, სარქისიანი, ხაჩატრიანი, ჩილინგარიანი, მირზოიანი, მარქარიანი, რ. გალუსტიანი, ვერანიანი (კარაპეტიანი), პ. გალუსტიანი (ქოჩარიანი), მხითარიანი;**

**„დინამო“ - გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, რევიშვილი, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, ჩეკუნოვი, ჩელებაძე, მესხი.**

**მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).**

**დუბლიორები - 2:1. „არარატის“ სასარგებლოდ. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა გოგრიჭიანმა.**

**ლელო 27.08.1986**